საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1122 2016 წლის 13 ივნისი ქ. თბილისი

სს „ნენსკრა ჰიდროსათვის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ამ განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ქონება, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 55 (ორმოცდათხუთმეტი) წლის ვადით, სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით, წლიურ სარგებლობაში გადაცემის საფასურად - 1 (ერთი) აშშ დოლარად, გადასცეს სს „ნენსკრა ჰიდროს“ (ს/კ: 405112220).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების აღნაგობის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს, საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და სს „ნენსკრა ჰიდროს“ შორის 2015 წლის 31 აგვისტოს

გაფორმებული საიმპლემენტაციო ხელშეკრულების თანახმად, „ნენსკრა ჰესის“ ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აშენება და ექსპლუატაციაში მიღება.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

დანართი:

#	ნაკვეთის კოდი	მისამართი	ქონების აღწერა
1	42.14.45.012	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნაკრა	33 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
2	42.14.45.001	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნაკრა	68022 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
3	42.14.45.013	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნაკრა	9593 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
4	42.14.45.014	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნაკრა	480 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
5	42.14.45.015	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნაკრა	19511კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 ნანგრევი
6	42.14.46.001	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნაკრა	13483 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
7	42.15.36.001	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭუბერი	12278 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
8	42.15.38.001	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭუბერი	3820971 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი

სულ: 3 944 371 კვ.მ.